



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010150029977517

24 / ნოემბერი / 2017 წ.
№ 1143/ს

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემის მიზნით N376 ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი და 1¹ პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის, შპს "ჯეოსელი"-ს 2017 წლის 02 აგვისტოს N2/342-17 წერილისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 21 ნოემბრის N27795/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს N376 ელექტრონული აუქციონი კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებისათვის ტყის ფონდის სარგებლობაში (ერთ წლამდე) ვადით გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტებზე:

ლოტი N1- სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბაკურიანის სატყეო უბნის ბაკურიანის სატყეოს კვარტალ N4-ის ლიტერ N41-ში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N64.30.06.066) მიწის ნაკვეთი.

ლოტი N2- სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული შიდა ქართლის სატყეო სამსახურის გორის სატყეო უბნის სკრა-ბნავისის სატყეოს კვარტალ N7-ის ლიტერ N6-ში მდებარე 150 მ² (საკადასტრო კოდი: N66.60.04.042) მიწის ნაკვეთი.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 და N2 დანართების შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (გ. ბლიაძე) სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს", ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;


4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს", ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

11/24/2017

ეროვნული სატყეო სააგენტო

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი